



18
1981

ქართველი



ერთ დროს მეც მერქვა მდინარე. ვიყავ წყალუხვი, კამკამა, ტყით დაჩრდილული, თევზმრავალი, ნადირფრინვლით მდიდარი!.. მწვანით შემოსილ ჩემს ნაპირებზე უამრავი წყარო მოჩეუფდა; შვილებივით გულში ვიკრავდი მათ, ვეალერსებოდი!..

გადიოდა ხანი. დროის ფერისცვალებამ მეც გადამასხვაფერა. ცივილიზაციის შემოსვლის თანდათან ენირებოდა პირველებნილი ჩემი ძალა და სილამაზე. არც ახალ ცხოვრების გარდამქმნელი ძვრების უარმყოფელი არა ვარ, მაგრამ ბრაზისაგან ვდარდინადები ზოგ-ზოგების უგუნურებისა და უსულგულობის გახსენებაზე: ფაბრიკა-ქარხნების, საერთო და კერძო სახლების ასაგები ფართობებისათვის ტყის გაკაფვა როდი მაქმარეს, მომდგნენ და ნელ-ნელა ჩემი მასაზრდოებელი ბუნების მშვენება ისე გააჩინავს, ქალაქის შემოგარენში გვიმრის მეტი აღარაფერი დარჩა. ახლა ვერც ამ უვნებელ მცენარეს იპოვით.

სოფლადაც თითქმის იგივე ბედი მეწია. სათავიდან მოყოლებული, სულ ერთიანად გამაშიშვლეს, გამავერანეს!.. ასეთ ყოფაში დავკინდი, დავბერავდი!.. გაქრნენ ჩემი სალოცავი, საიმედო წყაროს წყლები. ეგიც არაფერი. მალე თავზე ახალი უბედურებაც დამატებდა: სული მომიშხამეს მაზუთმა, ნაგავმა და უთვალავება სხვა სიბინძურები!.. ოდესლაც მშვენიერ, სურნელოვან ნაპირებს ხავსი და შმორის სუნი მოედო. ერთ დროს საბანაოდ ძეირფასი, დასალევადაც გამოსადეგი, კაცისაგან შეძულებული გავხდი. განყდა თევზი, სამაგიეროდ, მყრალი გუბები, ბაყაყები, მავნე მწერები მომირავლდა. აგრერიგად ღვთისაგან გამეტებულს, თავსლაფდასხმულს, ზიზღით განმერიდა პირუტყვიც!..

— საბრალო ჩხოუშია!..

— უბედური მდინარე!..

— როგორ დაგლახავდა საცოდავი!

გულს მისერავდა ჩემკენ თანაგრძნობით მომზირალთა ასეთი სიტყვები. თუმცა, სად მქონდა გული? ბედს შერიგებული, ყოველგვარ დამცირებას უდარდელად ვიტანდი. გასაცოდავებულს, ნაგავს მაყრიდნენ, აბუჩად მიგდებდნენ ზედ ჩემს ნაპირებთან არხეინად დასახლებულებიც, მაგრამ მათი უმაღლურობა და უსინდისობა იმდენად არ მაკვირვებდა, რამდენადც წინდაუხედაობა, არაფრის შიში. რაკი ასე წამხდარს, ქანცმილეულს მხედავდნენ, არავინ ფიქრობდა, რომ კვლავ შეიძლებოდა ამვსებოდა მოთმინების ფიალა — დიდი ხნის დადუმებული კალაპოტი!.. რატომდაც ისიც დავიწყებოდათ, ანაზდად ადიდებულმა, თუ როგორი შიშის ზარი შევუყენ ბევრჯერ უმაღლურ მოსახლეებს!.. ყოველივე ამაში უფრო ღრმად დავრწმუნდი, როცა ძველ ჩემს შეუაგზავლზე „საქონოპმრევმშენის“ ზუგდიდის საშენ მასალათა და სამეურნეო საქონლის კომბინატის საამქროები ჩააშენეს. ახლა უკვე არც ის მიკვირდა, თუ რატომ ჭიანურდებოდა წლობით ქალაქში ნაპირსამაგრი სამუშაოები.



პრინცეს თავისი გზა აკას

აკა

ჩხოუშიას ნავაშობი

— მთლად განწირული, დამთხვეული ვგონივარ ამ ხალხს! — ვფიქრობდი ჩემთვის, ბოლმამორეული, თან ძლიერ წყიმებს ვნატრობდი გულის მოსალბობად და ჯავრის საყრელად. ამისდა კიდეც: გასულ წელს ავდარი ისე გახშირდა, მოთმინების ფიალაზომაზე მეტადაც ამევსო. ამაყად ამხედრებულმა, ისევ შეუილით ავახმაურე მშობლიური სანახები. კალაპოტი ერთბაშად მოვრეცხე, მოვასუფთავე თვეობით დაგროვილი ჭუჭყისაგან!

სექტემბრის ერთ ღამეს კი კოკისპირული წვიმებისაგან მოსალოდნელზე მეტად კიმძლავრე. თავადაც შემაკრთო, შემზარა ერთბაშად ამდენი წყლის მოვარდნამ და შემოტევამ. ავის მომასწავებელმა წინათერნობამ ბოლმა გამინელა. განვდევნე შურის-იებაზი ფიქრი. არა, არ მინდოდა ადამიანის ნაშიერთა ცოდვაში ჩავარდნა, ჩემთვის მოყენებული მრავალი უსიამოვნების მიუხედავად. ამ აზრით შთაგონებული მივაგორებდი თავაწყვეტილ მღვრიე ტალღებს და ნაფოტივით გამენდა, რაც კი შემხვდებოდა უძრავ-მიძრავი..

პირველი მინოლისთანავე მივლენ-მოვლენე ფეხით სავალი ლითონისა და ხის ხიდები. მათ შორის იმ ძველი ხიდის შემცვლელიც, ადრე ადიდებისას რომ შემომეტვრა და კაციც მამსხვერპლებინა! ერთის დარტყმით მინასთან გავასწორე შუა კალაპოტში განილილი საამქროები. ლუფისა და ბამბის მოზრდილი შეკვერები პანია ნავებივით ავიტაცე და ზღვისავნ განაქროლე, ხოლო სახუფელითონის დასტები, დაზგა-დანადგარები ფსკერზე მოვიმწყვდიე, მივსრის-მოვსრისე და შლამში დავლექე! საძირკველი გამოვაცალე, მერე გვერდი შევუნგრიე იმავე სანარმოს სამკერვალო საამქროს კაპიტალურ შენობას!..

არც ავეჯის ფაბრიკისათვის დამიყრია კარგი დღე. პირველად ეზოში „წვრილმან“ საგნებს დავერიე, რკინის

ბოძებზე შესკუპებული ათტონიანი რეზერვუარი შმაგ დინგბას მივეცი ღუზააშვებული გემივით. შემდეგს სინ-ყობს შევულენე კარები და ათიათა-სობით მანეთის ქონება ფაზ წარწერის ცე... ასლა იმ უმაღლო, „უშიშიში“ ნაპირის მკვიდრთა ამბავს არ იყით-ხავთ? დილაუთენია, როცა ლვარცო ფად დაგიძინა და ავლრიალი, დიღ-პატარა წამოიშალა!.. გასაქცევად გუდანაბადაკურული შიშჩამდგარი თვალებით მომშტერებოდნენ!.. ელდანაცემი, გაოგნებული მცხოვრებლების თვალწინ კინოკადრებივით სწრაფად იცვლებოდა ტრაგიკული სურათები: ეზოებსა და სახლებში შეჭრილი ნიალვრისაგან ატივტივებული ჭურჭელი. ზამთრისათვის სათუთად გადანახული კონსერვებით სავსე ქილები, ავეჯი, კასრები და სხვა უნუგეშოდ წალეკილი ნივთ-საგნები!..

მოგვიანებით წვიმამ იყლო. ცოტათი მოვითქვი სული. რაც მთავარია, სახლები, ერთის გარდა, გადამირჩა, ხოლო დაზიანებული ბინები, აბა, რა სახსენებელია?! მაშინ, როცა კლება დავიწყე და გონს მოვეგე, გარკვევით შემომება ცისკენ ხელაპყრობილი ადამიანების ღალადი:

— მადლობა უფალს, ცოცხლები რომ დაგვტოვა!..

— მასხარად ავიგდეთ ჩხოუშია და მეხი დაგვატეხა! ახია ჩვენზე! — მნარედ ნანობდა ერთი.

— სულ არ ვამბობდი, მდინარეს თავისი გზა აქეს-მეტეი? შეუძლებელია მისი ხელყოფა! არ გვაპატია ბუნებამ, მოდი და, ედავე ახლა! — ირწმუნებოდა მეორე.

ცყალდიდობის შემ დეგ დეტალურად შემოწმდა ჩემი უნებლივი ნამქმედარი. ბევრი მისაყვედურეს, მლანილეს და მთათხეს, რა არ მინდოდა!.. მერე ერთხმად მომისაჯეს რკინა-ბეტონის ჯებირებში ნაწილობრივ მომწყვდევა. კომისიას არაფერი უთქვამს იმათი მისამართით, ვინც გულდამშვიდებით ურიგდებოდა, არაფრად აგდებდა ჩემს აუზში დასახლებას, სანარმოების გამართვას, ოცი წლის წინათ, ისედაც უხარისხოდ და უგემოდ დაწყებული ნაპირსამაგრ სამშენებლო სამუშაოთა გაჭიანურებას; არც ქალაქის ერთ ნაწილში აგებული გამნენდიდ ნაგებობის წერიგში მოვანდი, ანუ გაბინენდი, აგები თვითონ დაადგა საშველი და იგი თვითონ გახდა გასაძენდი, ანუ გამაბინებელი არც ამბინძურებელია.

ნათევზია, ურემი რომ გადაბრუდება, გზა მერე გამოჩნდება. ათასი რამე გადაბრუდება, გაოხრდა, გამომდინარე ნაგებობების შემცველებში გამართვას ამავე არაფრად აგდებდა ჩემს აუზში დასახლებას, სანარმოების გამართვას, ოცი წლის წინათ, ისედაც უხარისხოდ და უგემოდ დაწყებული ნაპირსამაგრ სამშენებლო სამუშაოთა გაჭიანურებას; არც ქალაქის ერთ ნაწილში აგებული გამნენდიდ ნაგებობის წერიგში მოვანდი, აგება, დეველოპერების გამოსატენის ამავე აუზში და იგი თვითონ გახდა გასაძენდი, ანუ გამაბინებელი არც ამბინძურებელია.

ნათევზია, ურემი რომ გადაბრუდება, გზა მერე გამოჩნდება. ათასი რამე გადაბრუდება, გაოხრდა, გამომდინარე ნაგებობების დასტები, დაზგა-დანადგარები ფსკერზე მოვიმწყვდიე, მივსრის-მოვსრისე და შლამში დავლექე! საძირკველი გამოვაცალე, მერე გვერდი შევუნგრიე იმავე სანარმოს სამკერვალო საამქროს კაპიტალურ შენობას!..

ჩხოუშიას ნაამბობი ჩაინერა ზუგდიდის ზონის ჩვენმა კორესპონდენტმა

ანზორ პარამიამ



— რათომ არ იკათხას პოლიტიკის კაპითალის რეალობის?
— დღე-დღაზე ელის მოხსნას და ვის გაუკათოს!?

საერთო დაცვალებები



ცეკვები

ამ უცხო სენს უცხოური სურნელი დაპკრაგს. მაგრამ, სამწუხაროდ, შინაურივით გრძნობს თავს.

საცეკვაცია იძულებს სულმკლე, იოლი გამდიდრების სურვილით შეპყრობილ ადამიანებში, კლავს მათში სირცეცილ-ნამუსის გრძნობას და გზას უხსნის სიხარბესა და ანგარებას.

დაავადებას ხელს უწყობენ მრავალ-რიცხვანი მყიდველები, განსაკუთრებით — დიასახლისები, რომლებიც იმპორტული საქონლის დანახვაზე ჯერ წონასწორობას კარგავენ, მერე კი — ჰქონა.

დაავადება იოლი გამოსაცნობია: სპეცულანტი (იგივე გადამყიდველი, ქორგაჭარი) მოკუნტული დადის და უცნობებს აკვირდება, უფლის დანახვაზე თვალები უბრწყინავს, მილიციის დანახვაზე კი — უფართოვდება; უცელას — მყიდველსა თუ გამყიდველს — „გენაცვალე“-თი მი-

მართავს, თუმცა ხელის ჭუჭუს უველა-ცერს ანაცვალებს.

ქორგაჭარი ქორისგან იმით განსხვავ-დება, რომ, წიწილ-ქათმების ნაცვლად, ადამიანებს ზერავს. ხოლო როცა შე-არჩევს, მსხვერპლს ჯერ გულს სტაცებს, მერე კი — ფულს. ამას იგი საკმაოდ იოლად ახერხებს, რადგან იმპორტულ საქონლის იყენებს მოწადოების საშუა-ლებად.

გადამყიდველის ცხოვრების ძირითა-დი მიზანი ძიებაა, მაგრამ არა ჭრაშირი-ტებისა, არამედ დეფიციტური საქონლი-სა და ხელსაყრელი კლიენტისა. ამის გამო სპეცულანტი ვერ ეგუბა ბინადარ ცხოვრებასა და პატიოსან შრომას, ბევრს მოგზაურობს, დადის ქალაქიდან ქალაქში, ყონსავს ბაზებსა და ბაზრებს, საწყობებსა და მაღაზიებს. შოულობს უცელაფერს, რაც არ იყიდება და ყიდის უცელაფერს, რაც არ იშვივება.

ქორგაჭარი ერთდროულად ასრულებს ექსპედიტორის, საწყობის გამგის, საკონ-ნელმცოდნის, ბუღალტრის, მოლარისა და გამყიდველის მოვალეობებს. ამისათვის იგი არც ხელფასს მოითხოვს, არც საწყობს, არც მაღაზიას, არც საქონლს.

ქორგაჭრობასთან ბრძოლის მთავარი მიზანია სხეულის სულსა და სხეულს შორის დარღვეული წონასწორობის აღ-დგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყიდვა შავი ჭირივით ხდებს ექიმი, რომელიც მხსნელად კი არა, დამღუბველად მიაჩნია, რადგან იცის, რომ მის ხელში მკურნალობის მეტად მძიმე კურსი უნდა გაიაროს.

მის მოსარჩენად, ჩვეულებრივ, იძუ-ლებით მკურნალობას მიმართავენ.

ალგანზორ თავაძე

გამოცანები კაცუსაბით

აბა, მითხარ, კანისტრაში
რად არ გვისხამს ბენზინს დიტო?
რამდენს გვპარავს, რომ ვერ ერთვის მივხვდებულითი
დამიჯერეთ, მხოლოდ მიტომ!

— გამყიდველი ფასს არ ჰქიდებს
საქონელზე,
ავიწყდება, თუ მისთვის არ
სცალია?
— არა, ძმაო, მას საკუთარ ფასად
ყიდის,
დამიჯერე, მხოლოდ ამის ბრალია!

— ერთ ადგილზე ოც წელიწადს
მუშაობს,
რაღად უნდა კიდევ ატესტაცია?
— თავისიანს მოწყობას რომ
შეპირდა,
უფროსს უნდა მოიშოროს კაცია!

ვალირიან მოსავალი

სასარგებლო რჩევები

● რამდენჯერაც გინდა,
იმდენჯერ გაზომე, მაგრამ იმდენ
ხანს არ უნდა ზომო, რომ გაჭრა
დაგვიწყდეს!

● ხომ ლამაზია შენი მდი-
ვანი?! ნუ ფიქრობ — მე უფრო
ლამაზი მინდა!

● თუ წიგნის კითხვა არ
გიყვარს, მორალის კითხვაც არ
უნდა გიყვარდეს!

● თუ აცი, სხვისი უნდა
დაიჯერო! — ასე რომ მოიქცი,
საჭიროა იცოდე, რომ არ იცი!

● სახელს თუ გაედევნე, ვერ
ჟეწევა!

● თუ ოქროკიცი —
ენდე! ერიდე მოოქროებულ კაც!

● აგიტურიონები, ან მისი
მშობელი, ვინც ფიქრობს, სამ-
კურნალო გარდა, სხვა ფა-
კულტური არ არსებობსო, სამ-
კურნალო ალოა!

გიგლა გახტაშვი

ფრაზები

● სილცვილის გრძნობა
ალამაზებს ადამიანს — ლოყებს
უწითლებებს.

● გრაფომანი ეს ის კაცია,
რომლის საშუალებანი მის შე-
საძლებლობებს აღემატება.

● ნასესხებ ფულს რთული
აზრები მოჰკვება ხოლმე, ნასეს-
ხებ აზრებს — იოლი ფული.

● ეკვდრადგომბილი იდე-
ები განსაკუთრებით სიცოცხ-
ლისუნარიანი გახლავთ.

● დაავადება კაციკი, თუნ-
დაც იმიტომ, რომ იგი არ ხურ-
დავდება!

● ზოგი ჰაერის კოშკებ-
საც სახელმწიფო ხარჯზე აგებს.

„ლიტერატურნაია გაზეობა“



ირაკლი გორდელაძე 60 წლისაა!


ირაკლი გორდელაძეს, როგორც კარიკატურისტის დებიუტი 1941 წელს შედგა, როცა „ნიანგის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი სატირულ-იუმორისტული ნახატები — „კრილოვისებურად“ და „ფაშისტი კორესპონდენტის აღიარება“. ამის შემდეგ იგი წლების განმავლობაში თანამშრომლობს შურნალში. მისი კარიკატურები შექმნილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საყოფაცხოვრებო თემებზე. ჩვენი ყოფის მანკიერი მხარეების ნარმოსაჩენად მხატვარი ხშირად მიმართავს კომიკური გაზვიადების ხერხს.

შურნალ „ნიანგის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულთბილად ულოცავს ღვანლმოსილ მხატვარ-კარიკატურისტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს დაბადების მე-60 წლისთავს და უსურვებს ხანგრძლივ, ნაყოფიერ სიცოცხლეს!


აქვე ვაქვეყნებთ მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილ ნახატ-კარიკატურებს.



— ერთ სახლს რომ გაორი გივერათოთ, რამდენი იქნება, 300 ეთერის? — გამართო, პატ. მასწავლი...



— აფსუსი არ არის, ეგ გაცილებადი იყოს და მა ერთობილი და მა ერთობილი?



— ფულს რომ დაუკითხავად იღებ, რომ რომა რომა, არ იცი? ვის დავამგავსა ასათი?

— ყველა მაუგანება, პირნა-ცარდილი გამავინი ხარო...



კიოსისათვის კომადია რომ დაგირჩევია, კითხულობა და ტირილი გიცდება!..

— დაარცით, პატონო, ტრაგედია და ისე დადგით!...



— დადიკო, რა არის პრობირა?

— როცა თეატრში წარმოდგენა იყადება.

— როდისლა კვდება?

— ზოგჯერ, შეიძლება, გავდარიც დაიგადოს!..

ყურადღება — ურთისები გიგანტითი კონკურენცია!!!

ურნალ „ნიანგის“ რედაქციასთან არსებული სიტყვიერი ინფორმაციების სამეცნიერო ჩერეკის ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) ელვა დეპეშების ელვისებურად მჩერეკავ-გამშიფრავი — 1 საშტატო ერთეული — სამარჩიელო მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი;

2) ჩვეულებრივი დეპეშების შინაარსის ამომცნობი და ჩვეულებრივ ენაზე მთარგმნელი — ექსტრასენსი ან უბრალო სენსი.

კონკურსის მონაწილეებს გამოცდის სახით ვთავაზობთ ორ დეპეშას.

დაევა პირველი

იგი გაგზავნილია თბილისიდან დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში:

Тбилиси იშტ/601 12 290
Вятж სიფ օმარე დმანისი
რ-ნ სიხუ 92 ილ რაისა-აისა ხელი

ბარებ შვიტიშვ 9 თვაგ

ადრესატი აქვე გვანვდის დამატებით ცნობას, რაც გამოგადგებათ მეცნიერული კვლევისათვის:

„ჩემი გვარი არის სიხუაშვილი, რაისა რომ წერია, ესეც ჩემი რძალია, დანარჩენი რა ენაზეა? ან არაბულია, ან ჩინური?“

დაევა მეორე

გამოგზავნილია ცხაკაიდან თბილისში, ბაგრატიონის ქუჩაზე მცხოვრებ ზ. სახოკიას მისამართით:

«18-შიომთ ჯგა უხიავის-ვაჟა.

აქაც ადრესატი იძლევა დამატებით ცნობას:

„ვერ გავიგე შინაარსი ვერც ერთ ენაზე და მივიტანე ფლსტაში წერეთლის პროსპექტზე, საიდანაც დეპეშა მომიტანეს. ვთხოვე, იმათ მაინც წაეკითხათ. ტელეგრაფის უფროსმა მითხრა, ეს სამეგრელოდან არის გამოგზავნილი და, შეიძლება, მეგრულად იყოსო, მაგრამ მე ვთიოთ მეგრელი ვარ და ვერ გავუგე ვორაფერი“. ამ დეპეშების ამოცნობის, გაშიფრისა და ჩვეულებრივ ენაზე გადმოთარგმნის შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ითვლება და კონკურსში გამარჯვებული დაიკავებს ვაკანტურ ადგილს.

კონკურსის ვადაა ერთი კვირა დღიდან გამოქვეყნებისა. ცნობებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგი მისამართით: „ნიანგის“ სიტყვიერი ინფორმაციების სამეცნიერო ჩერეკის ცენტრი

არა ინციდენტი არა არა შეიძლება

მოღი, სტუმარო, კახეთში..

მოღი, სტუმარო, კახეთში,
რა გული გიძლებს, ნეტავი?! —
ვაზებს სიმძიმით გაუჩნდა
რაღიკულიტი, წელკავი!..

ჩამოღი, ტვირთი ჩამოვხსნათ —
ქარვისფერი და ღალანა!..
დავჭაშნიკოთ მაჭარი —
მობუყბუყე და ქაქანა!..

ჭურჭელი წამოიძღვანე —
ბოცა არის თუ „ბაჩონკა“! —
დრო იყო, მაღაზიები
დღედაღამ იმით ვაჭრობდა!..

ახლა გაქრა და წამლადაც
კერსად იშოვი კახეთში!..
შხოლოდ ბოთლები შემოგვრჩა —
წვრილი თხილივით — სახლებში!

ბოთლით კი ღვინოს ვინ მოგცემს,
ვინ გაიტეხავს სახელსა?!
ხომ იცი, ოქროს გული აქვს
სტუმარომოყვარე კახელსა!

მოხვალ და — მარანს გაგიღებს
გულუხვად; ბარაქიანად!
ამ ჩვენს ღიდებულ კახეთში
ბოცა ჭირს, ღვინო კი არა!

მაშ, ჭურჭელს ნუ დაიზარებ,
ვიცი, გექნება ბინაზე! —
ჩამოღი, ღვინო წაილე,
ჩვენი ვაჭრების ჭინაზე!


3. პახელიჯვილი

ნახ. 0. ჟეინაზვილისა



უსიტყვოდ.

ნახ. 8. აჩაშიძის



— ერთი ეს მაზის, ჩალო, კისერზე და მათი აღგილი აჯ აღარაა!..

ნიანგს უკასუხებან

საჩხერის სახალხო დებუტატების რაიონული საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტი:

„ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-5 ნომერში დაბეჭდილი კრი-
ტიკული შენიშვნა სათაურო — „ბარათები ნიანგს“, რომელიც
ამხელდა ნაკლოვანებებს საჩხერის რაიონის სავაჭრო ქსელის
პირველი მოხმარების საგნებით მომარაგების საქმეში — და-
დასტურდა.

ამჟამად მდგომარეობა გაუმჯობესებულია, დაწესდა კონტ-
როლი რაიონისათვის ფონდით გამოყოფილი საქონლის დროუ-
ლად შემოზიდვაზე.

ომსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების
სამმართველოს ქიმნენდის, ლეგვისა და თეთრეულის რეცხვის
თბილისის საქალაქო გაერთიანება „თოლია“:

ურნალ „ნიანგის“ წლევანდელ მე-8 ნომერში დაბეჭდილი
კრიტიკული ფელეტონი — „თაგვე პალტო შეჭამა!“ — სინამდ-
ვილება.


№ 48 მიმღები პუნქტის დაკვეთების მიმღები მ. ლურსმანა-
შვილი, აღნიშნულ ფაქტთან და სხვა დარღვევებთან დაკაუშირე-
ბით, გათავისუფლებულის სამუშაოდან.

მღრღნელებთან ბრძოლისა და, საერთოდ, სანიტარული
ნორმების დაცვის მიზნით დადებულია ხელშეკრულება ქ. თბი-
ლისის ლენინის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სად-
გურთან.

მოქალაქე დილმელაშვილს აუნაზღაურდა პალტოს ლირებუ-
ლება.

ავტორის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კ. უანდეგერერი ერთ დღეს სამ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, შეიძი სატელევიზიო ინტერვიუ მისცა და სტატიაც გამოიქვენა „ვაშინგტონ პოსტმი“. და ყველან სახოტბო ჰიმი უმოქრა ნეიტრონულ ბომბს — „ყველაზე ეფექტურ“ და „ყველაზე ჰუმანურ“ იმავას.

(განვითარებიდან)



ნაზოს სონათა



ერთობენის
სატელევიზიუმის მუზეუმი
აუდიოლი „ნიკანორი“
№ 18 (1604) მიწოდებელი
გამოის 1923 წ. იმისი დღის
•

გთავარი რედაქტორი
ზაფრ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
პავლე აბირაჯიძე,
ნონა გართაძე,
გორის გურულიძე,
ნოდარ დუბაძე,
რევაზ თბარაძე,
ჯვალ ლოლუა,
ონდარ გალაგონიძე
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონიძე,
ზეგან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ვირცხალავა,
ჯანსელ ჩარავიანი,
თამაზ ზიგივაძე,
ვაჟა ჭავიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაზა ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუჩალაშვილი

გადამცა ასაზყობად
24.8. 81 წ.
ხელმოწირილია დასაგებდად
29.9. 81 წ.
რაღალდის ზომა $70 \times 108 \frac{1}{8}$
ფიზიკური ნაბიჭდი
ცურცელი 1
სააღისაური-საგამოხვევლო
თაგანი 1,7
საქართველოს კა ცენს
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთი № 2201. ც 14430
ტირაჟი 150,950.
უზრუნველი გამოიდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ 3 0 6 0 გ 0 ს ა 8 1 რ 0 0:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტ 0 ლ ე ც რ 6 0 0: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მთადგილის — 93-19-42,
პ/გ მდივნის — 93-10-78, მთ.
ტევარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტერატურის —
99-02-38, მდივანი-მექანიკის —
99-76-69.
Сатирико-юмористический
журнал «Н И А Н Г И»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ფასი 20 კავიბი
ინდენდი 76137

